

## კომერციული ბანკების საოპერაციო რისკი

ფინანსური მომსახურების სფეროსთვის, განსაკუთრებით, კომერციული ბანკებისთვის, რისკი წარმოადგენს მათი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საკრედიტო და საბაზრო რისკები მრავალმხრივი კვლევისა და დებატების საფუძველი გახდა, რამაც ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან ამ რისკების იდენტიფიკაციის, გაზომვისა და მართვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ბოლო პერიოდში ფინანსური მომსახურების სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ფინანსური ტექნოლოგიების სირთულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს, ბანკების საქმიანობას სულ უფრო მრავალფეროვანს და რთულს ხდის. ეს მიზეზები განაპირობებენ, რომ ბანკები და ზედამხედველები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციას, გაზომვასა და მართვას.

საოპერაციო რისკი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულ რეალობაში ისტორიულად გათვითცნობიერებული ტერმინი – „საოპერაციო“. საოპერაციო რისკის კარგად მართვა, ფაქტობრივად, ბანკის მთელი შიდა სისტემის ე.ი. ბანკის კარგად მართვას ნიშნავს და პირიქით, სადაც საოპერაციო რისკის მართვა არ ესმით ან არ შესწევთ უნარი მართონ იგი, ერთი-ორად იზრდება ბანკის პრობლემები და გაკოტრების ალბათობა. საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვის გარეშე ბანკის ხელმძღვანელობა მოკლებული იქნება ინფორმაციას ბანკში არსებულ ვითარებასა და პრობლემის სიდრმეზე. აღნიშნული პრობლემის სერიოზული სახე უკვე ძნელად დაექვემდებარება გადაწყვეტას. ამდენად საოპერაციო რისკის ადეკვატური მართვა ამ რისკით გამოწვეული რაიმე პრობლემის საწყის ეტაპზე გამოვლენისა და გადაწყვეტის საშუალებას მისცემს ბანკს. შესაბამისად, ამას მოჰყვება ბანკის სტაბილურობა და ფინანსური მდგრადობა.

11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, „ბერინგის“, „ენრონის“ და სხვა მსხვილი კომპანიების გაკოტრებამ ცხადყო, რომ არსებული რისკის მასშტაბები სცილდება მხოლოდ საკრედიტო და საბაზრო რისკებს. გარდა აღნიშნული რისკებისა, ბანკები დგანან თაღლითობის, სისტემების მოშლის, ტერორიზმის, თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნის და სხვა რისკების წინაშე, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს ტერმინის – „საოპერაციო რისკის“ ქვეშ.

საოპერაციო რისკის განმარტებებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის<sup>1</sup> განმარტება, რომელიც საოპერაციო რისკს შემდეგნაირად განმარტავს: „ზარალის მიღების რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არაადეკვატური

<sup>1</sup> საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი – შექმნილია 1974 წელს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთან. დღეისათვის კომიტეტის წევრები ბანკების საზედამხედველო ორგანიზაციისა და ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები არიან 13 ქვეყნიდან.

ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანების და სისტემების ან გარეშე ფაქტორების შედეგად“.

თითოეულ ბანკს შეუძლია თავად განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს საოპერაციო რისკის განმარტება, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მას სწორად ესმოდეს თუ რა იგულისხმება ამ განმარტების ქვეშ და ეფექტურად ახდენდეს მის მართვასა და კონტროლს. განმარტება უნდა ითვალისწინებდეს ყველა მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს, რომელიც ბანკს შეიძლება წარმოეშვას. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა, საბანკო სექტორის მონაწილეებთან ერთად შეიმუშავა საოპერაციო რისკის შემთხვევების კატეგორიები, რომელთა დადგომასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვეს:

- შიდა მაქინაციები – მაგალითად: ტრანზაქციის შეცდომით გატარება, თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, მითვისება, გამოძალვა, ქრთამის აღება და სხვა;
- გარეშე მაქინაციები – მაგალითად: გარეშე პირების მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა, გაყალბება (ფულის, ჩეკების, დოკუმენტების), „ჰაკერობა“ და სხვა;
- თანამშრომელთა ქცევა და უსაფრთხო სამუშაო გარემო – მაგალითად: თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნა მორალური ან ფიზიკური ზიანისა და დისკრიმინაციისთვის, თანამშრომელთა ორგანიზებული გაფიცვები და სხვა;
- ბიზნესის, პროდუქტების და კლიენტთა ქცევები – მაგალითად: ფიდუციარული შეთანხმების დარღვევა, კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, უთანხმოება საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ლიმიტების გადაჭარბება, ფულის გათეთრება და სხვა;
- მატერიალური აქტივების დაზიანება – მაგალითად: ტერორიზმი, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები და სხვა;
- საქმიანობის შეფერხება და სისტემების მოშლა – მაგალითად: კომპიუტერების და პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა, შეფერხებები სატელეკომუნიკაციო სისტემებში, შეფერხებები კომუნალურ სფეროში და სხვა;
- აღსრულება, მომსახურების მიწოდების და პროცესების მართვა – მაგალითად: მონაცემთა არასწორი შეყვანა, არასწორი კომუნიკაცია, არაზუსტი ანგარიშგებების მომზადება, არასრულყოფილი იურიდიული დოკუმენტაცია, ვადების დაუცველობა და სხვა.

აღნიშნული სტატია წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკუთრებას და ამ მასალის სრული ან ნაწილობრივი გამოყენება მისი თანხმობის გარეშე აკრძალულია. სტატიაში გამოხატული ავტორის თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თვალსაზრისს.

კომერციული ბანკების მიერ რისკების მინიმიზაციის ერთ-ერთი საშუალება ადეკვატური კაპიტალის შექმნაა. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი<sup>2</sup> ბანკის სტაბილურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორია. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა კაპიტალის ადეკვატურობის თაობაზე დოკუმენტი – „საერთაშორისო შეთანხმება კაპიტალის დათვლასთან და კაპიტალის სტანდარტებთან დაკავშირებით“<sup>3</sup> პირველად 1988 წელს შეიმუშავა (ბაზელი I), რომელიც ითვალისწინებდა საკმარისი კაპიტალის ფლობას საკრედიტო რისკის ნეიტრალიზაციისთვის. 1996 წლის ცვლილებებით<sup>4</sup> საკრედიტო რისკს დაემატა საბაზრო რისკებიც (საპროცენტო განაკვეთის, კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის პოზიციის, უცხოური ვალუტის და სასაქონლო რისკები), ანუ ბანკებს მოეთხოვათ იქონიონ დამატებითი კაპიტალი საბაზრო რისკების ნეიტრალიზაციისთვისაც.

კაპიტალის საკმარისობის თაობაზე ახალ შეთანხმებაზე მუშაობა, რომელიც საბანკო სფეროში „ბაზელი II“-ითაა<sup>5</sup> ცნობილი, ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყო. სწორედ საოპერაციო რისკის კუთხით არის მნიშვნელოვანი „ბაზელი II“. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად სწორედ ბანკების მიერ საოპერაციო რისკის ნეიტრალიზაციისთვის დამატებითი კაპიტალის ფლობა შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში სწორედ საოპერაციო რისკების გამო (რა თქმა უნდა, სხვა რისკებთან ერთად) გაკოტრდა ყველა დიდი ბანკი და კომპანია.

საოპერაციო რისკის შეფასებისთვის „ბაზელი II“ ითვალისწინებს სამ მიდგომას: საბაზისო ინდიკატორის მიდგომა (Basic Indicator Approach), სტანდარტიზირებული მიდგომა (Standardised Approach) და განვითარებული გაზომვის მიდგომა (Advanced Measurement Approaches -AMA).

საბაზისო ინდიკატორის მიდგომა ითვალისწინებს საოპერაციო რისკის შეფასებას და შესაბამისად, კაპიტალის ფლობას ერთი ინდიკატორის – საერთო შემოსავლების (Gross Income) - საფუძველზე. საერთო შემოსავალი განიმარტება როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამი (როგორც ამას ადგილობრივი საზედამხედველო ორგანო ან ბუღალტრული სტანდარტები განმარტავს).

ამ მიდგომის გამოყენებით საოპერაციო რისკის დასაფარად კაპიტალის მიმართ მოთხოვნა შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$K_{BIA} = \left[ \sum (GI_{1...n} * \alpha) \right] / n$$

<sup>2</sup>კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - გამოითვლება როგორც საზედამხედველო კაპიტალისა და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების თანაფარდობა.

<sup>3</sup>Basel Committee on Banking Supervision – International Convergence of Capital Measurement and Capital Standards. July 1988, updated to April 1998 ( <http://www.bis.org/publ/bcbsc111.pdf?noframes=1> )

<sup>4</sup>Basel Committee on Banking Supervision – Amendment to the Capital Accord to Incorporate Market Risks. January 1996 ( <http://www.bis.org/publ/bcbs24.pdf?noframes=1> )

<sup>5</sup>Basel Committee on Banking Supervision – International Convergence of Capital Measurement and Capital Standards: Revised Framework-Comprehensive Version. June 2006 ( <http://www.bis.org/publ/bcbs128.pdf?noframes=1> )

სადაც:

GI – წლიური საერთო შემოსავლები (თუ დადებითია), წინა 3 წლის განმავლობაში;

n – იმ წლების რაოდენობა, როცა ბოლო 3 წლის მანძილზე საერთო შემოსავლები დადებითი იყო;

α – 15%, ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი რისკის ფაქტორი.

ამდენად, საბაზისო ინდიკატორის მიდგომა ითვალისწინებს ბანკების მიერ კაპიტალის ფლობას საოპერაციო რისკის დასაფარად, რომელიც უნდა შეადგენდეს ბოლო სამი წლის წლიური საერთო შემოსავლების საშუალო მაჩვენებლის 15%-ს.

საოპერაციო რისკის შეფასების შემდეგი მეთოდი – სტანდარტიზირებული მიდგომა - ითვალისწინებს ბანკის საქმიანობის დაყოფას რვა ძირითად ბიზნეს-მიმართულებად (business lines) და კაპიტალის მოთხოვნის განსაზღვრას თითოეული მიმართულებისთვის, დიფერენცირებული – β კოეფიციენტების გამოყენებით.

ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_{StA} = \left\{ \sum_{yars1-3} \max \left[ \sum (GI_{1-8} * \beta_{1-8}), 0 \right] \right\} / 3$$

სადაც:

GI – წლიური საერთო შემოსავლები თითოეული ბიზნეს-მიმართულებისათვის;

β – ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრული, თითოეული ბიზნეს-მიმართულებისთვის დადგენილი რისკის ფაქტორი.

ბანკის ბიზნეს-მიმართულება	β ფაქტორები
კორპორაციული დაფინანსება (corporate finance)	β <sub>1</sub> =18%
ვაჭრობა და გაყიდვები (trading and sales)	β <sub>2</sub> =18%
საცალო საბანკო მომსახურება (retail banking)	β <sub>3</sub> =12%
კომერციული საბანკო მომსახურება (commercial banking)	β <sub>4</sub> =15%
გადახდები და ანგარიშსწორება (payment and settlement)	β <sub>5</sub> =18%
სააგენტო მომსახურება (agency services)	β <sub>6</sub> =15%
აქტივების მართვა (asset management)	β <sub>7</sub> =12%
საცალო საბროკერო მომსახურება (retail brokerage)	β <sub>8</sub> =12%

ამ მიდგომის გამოყენებისას, თუ რომელიმე წელს რომელიმე ბიზნეს-მიმართულებიდან მიღებული საერთო შემოსავალი უარყოფითი იქნება, დასაშვებია, რომ ამით განვიტრალდეს სხვა ბიზნეს-მიმართულებიდან მიღებული საერთო შემოსავალი. თუმცა, თუ რომელიმე წელს, საერთო შემოსავალი ყველა ბიზნეს-მიმართულებიდან უარყოფითი იქნება, აღნიშნული წელი გათვლაში მონაწილეობას არ მიიღებს.

სტანდარტიზირებული მიდგომის ფარგლებში დასაშვებია ე.წ. ალტერნატიული სტანდარტიზირებული მიდგომა (Alternative Standardised Approach). ამ მიდგომის მეთოდოლოგია სტანდარტიზირებული მიდგომის ანალოგიურია, გარდა ორი ბიზნეს-მიმართულებისა – საცალო საბანკო მომსახურება (retail banking) და კომერციული საბანკო მომსახურება (commercial banking). ამ ორი მიმართულებისთვის საერთო შემოსავლის ინდიკატორი შეიძლება შეიცვალოს სესხებით გამრავლებული ფიქსირებულ  $m$  ფაქტორზე. შესაბამისი  $\beta$  ფაქტორი კი რჩება უცვლელი.

ამ მიდგომის გამოყენებით კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის დათვლა, საცალო საბანკო მომსახურების (retail banking) ბიზნეს-მიმართულებისათვის შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_{RB} = \beta_{RB} * m * LA_{RB}$$

$LA$  – წინა 3 წლის საშუალო საკრედიტო პორტფელი;

$m$  – 0.035 ფიქსირებული რისკ-ფაქტორი;

$\beta_{RB}$  – საცალო საბანკო მომსახურებისთვის განსაზღვრული  $\beta$  ფაქტორი.

ანალოგიურად მოხდება კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის დათვლა კომერციული საბანკო მომსახურების (commercial banking) ბიზნეს-მიმართულებისათვის.

ბოლო, ყველაზე რთული მიდგომა, რომელიც გამოიყენება საოპერაციო რისკის შესაფასებლად – განვითარებული გაზომვის მიდგომა (Advanced Measurement Approaches -AMA). ეს მიდგომა ბანკს აძლევს საშუალებას თავად შეიმუშაოს საოპერაციო რისკის შეფასების საკუთარი მეთოდიკა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს. ამ მიდგომის გამოყენებისათვის ბანკმა აუცილებლად უნდა მიიღოს საზედამხედველო ორგანოს წინასწარი თანხმობა.

რისკების მართვა ის თემაა, რომელშიც თანაბრად უნდა იყოს ჩართული ბანკის როგორც სამეთვალყურეო საბჭო, ისე მენეჯმენტი. ის თუ რა მიდგომას გამოიყენებს ბანკი საოპერაციო რისკის მართვისთვის ბანკმა თავად უნდა განსაზღვროს, ბანკის სიდიდის, კომპლექსურობისა და რისკის დონის შებამისად. თუმცა, არსებობს საოპერაციო რისკის ეფექტური მართვის პრინციპები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი ზომის ბანკისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის

აღნიშნული სტატია წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკუთრებას და ამ მასალის სრული ან ნაწილობრივი გამოყენება მისი თანხმობის გარეშე აკრძალულია. სტატიაში გამოხატული ავტორის თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თვალსაზრისს.

კომიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი – „საოპერაციო რისკის მართვისა და ზედამხედველობის ჯანსაღი პრაქტიკა“<sup>6</sup>, რომლის მიზანსაც სწორედ საოპერაციო რისკის ეფექტური მართვის პრინციპების განსაზღვრა წარმოადგენს და რაც შემდეგში მდგომარეობს:

- სამეთვალყურეო საბჭო უნდა იცნობდეს ბანკის საოპერაციო რისკთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს როგორც ცალკე რისკის კატეგორიას, რომელიც უნდა იმართოს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს საოპერაციო რისკის მართვის სისტემა და პერიოდულად გადასინჯოს იგი. სისტემით უნდა განისაზღვროს საოპერაციო რისკის განმარტება და საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის/შესუსტების პრინციპები.
- სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ საოპერაციო რისკის მართვის სისტემა ექვემდებარებოდეს ეფექტურ და სრულყოფილ აუდიტს დამოუკიდებელი, სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური კადრების მიერ. შიდა აუდიტი არ უნდა იყოს უშუალოდ პასუხისმგებელი საოპერაციო რისკის მართვაზე.
- ბანკის აღმასრულებელ მენეჯმენტს აკისრია პასუხისმგებლობა, რათა პრაქტიკაში დანეგოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საოპერაციო რისკის მართვის სისტემა. საოპერაციო რისკის მართვის სისტემა თანმიმდევრულად დანერგილი უნდა იყოს მთელს საბანკო დაწესებულებაში და თითოეულ თანამშრომელს ყველა დონეზე, გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობა საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებით. მენეჯმენტს აკისრია პასუხისმგებლობა ბანკის ძირითადი პროდუქტების, საქმიანობის, პროცესებისა და სისტემებისთვის შეიმუშაოს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები.
- ბანკმა უნდა მოახდინოს ბანკის ძირითადი პროდუქტების, საქმიანობის, პროცესებისა და სისტემებისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება. ბანკმა, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს, რომ ახალი პროდუქტების, საქმიანობის, პროცესების და სისტემების შემოღებამდე ან დანერგვამდე, იგი ექვემდებარებოდეს საოპერაციო რისკების ადეკვატური შეფასების პროცედურას.
- ბანკმა უნდა დანერგოს საოპერაციო რისკის რეგულარული მონიტორინგის და მატერიალური დანაკარგების გამოვლენის პროცედურები. აგრეთვე, უნდა შეიმუშავდეს სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტისთვის სათანადო ინფორმაციისა და ანგარიშების რეგულარული მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს საოპერაციო რისკის უკეთ მართვას.
- ბანკს უნდა გააჩნდეს პოლიტიკა, პროცესები და პროცედურები, რათა აკონტროლოს/შეამციროს მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკები. ბანკმა

<sup>6</sup> Basel Committee on Banking Supervision – “Sound Practices for the Management and Supervision of Operational Risk” (<http://www.bis.org/publ/bcb96.pdf?noframes=1>)

პერიოდულად უნდა განიხილოს რისკების ლიმიტები და კონტროლთან დაკავშირებული სტრატეგიები. ბანკის საერთო რისკის „მადის“ გათვალისწინებით შესაბამისი კორექტირებები შეიტანოს მასში.

- ბანკს უნდა გააჩნდეს გეგმა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, რათა ბიზნესის შეფერხებისას შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება და დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა.
- ზედამხედველებმა უნდა მოითხოვონ რომ თითოეულ ბანკს, მიუხედავად მისი ზომისა, გააჩნდეს მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკების იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის/შესუსტების ეფექტური სისტემა, როგორც რისკის მართვის საერთო მიდგომის ნაწილი.
- ზედამხედველები პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა ახორციელებდნენ საოპერაციო რისკთან დაკავშირებული პოლიტიკის, პროცედურებისა და პრაქტიკის დამოუკიდებელ შეფასებას. ზედამხედველებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არსებობდეს სათანადო მექანიზმები, რათა ბანკში მიმდინარე ცვლილებების მუდმივი მონიტორინგი ხორციელდებოდეს.
- ბანკი უნდა ახდენდეს სათანადო ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებას, რათა ბაზრის მონაწილეებს საშუალება მიეცეთ შეაფასონ საოპერაციო რისკის მართვა.

საბოლოოდ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვინაიდან საოპერაციო რისკის მთლიანი ნეიტრალიზაცია შეუძლებელია, საჭიროა მისი მინიმუმამდე დაყვანა. კარგია, თუ ბანკები ძალისხმევას არ დაიშურებენ საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვისთვის. საოპერაციო რისკის ეფექტურად მართვა კი უფრო მეტად შესაძლებელია ისეთ ბანკებში, რომელთაც რისკის მართვის კომპლექსური სტრატეგია გააჩნიათ, რაზეც სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან ხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა, სადაც სწორად ხდება პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების გადანაწილება, რეგულარულად მზადდება შიდა ანგარიშგებები, მაღალ დონეზეა შიდა კონტროლის კულტურა. ყოველივე ეს კი დამახასიათებელია ბანკებისთვის, სადაც კორპორაციული მართვა სათანადოდაა მოწესრიგებული.

**მარიამ მანჯგალაძე**